

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის 10 წლის იუბილე ბრიუსელში

1999 წლის დეკემბერში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობების კონგრესის მხარდაჭერით ხელი მოაწერეს ასოციაციის წესდებას. მას შემდეგ, მრავალი პროექტი იქნა განხორციელებული, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების, ადგილობრივი დემოკრატიის მხარდაჭერისა და ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და ახლა უკვე ევროპის სხვა რეგიონებშიც.

100-ზე მეტი პროექტი, მათ შორის, რამდენიმე მრავალწლიანი პროექტი, ასობით პარტნიორი, 150 წევრი ორგანიზაცია და კერძო პირი, ეს არის ის მონაცემები რამაც ხელი შეუწყო ასოციაციის ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციად ჩამოყალიბებას და მჭიდრო ურთიერთობას ევროკავშირსა და ევროპის საბჭოსთან.

იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება 2009 წლის 27 მაისს ბრიუსელში, რომელსაც პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან. პროგრამა ითვალისწინებს მიღწეული შედეგების მიმოხილვას და სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების წარდგენას.

სოციაციის გენერალური ასამბლეა გაიმართება ბრიუსელში, 2009 წლის 26 მაისს ევროპის რეგიონთა შენობაში. სამსლეს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ადს საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი იოსებ ხახალაიშვილი.

სრული ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.

ALDA-ს იუბილე!

2009 წლის 27 მაისს, ბრიუსელში ევროპის რეგიონების ოფისში გაიმართა ასოციაციის იუბილე, რომელსაც ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მმართველობების და დაწესებულებების 100-ზე მეტი წარმომადგენლები ესწრებოდა.

საიუბილეო ტორტი

ALDA-ს საიუბილეო ტორტი პოლონეთის ქალაქ ბიდგოშციდან, ALDA-ს ბიუროს წევრი ქალაქიდან ჩამოიტანეს. ქალაქ ბიდგოშცი ცნობილია თავისი საკონდიტრო ნაწარმით და ეს შემოთავაზება ასოციაციამ სიამოვნებით მიიღო.

ALDA-ს პრეზიდენტმა, ბატონმა პიერ ვინთერმა საზოგადოებას გააცნო ასოციაციის და მისი წევრი ქვეყნების მიღწეული დღიდან ორგანიზაციის დაფუძნებისა, მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს წლების მანძილზე

გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრების აღნიშნულ იქნა ბოლო წლებში ALDA-ს უდიდეს როლს პროგრამაში "ევროპა მოქალაქეებისათვის", რომელიც მოქალაქეების მხარდაჭერასა და მათი მიზნების განხორციელებას ემსახურება. "ჩვენ ვაფასებთ ALDA-ს მრავალფეროვან წევრთა რაოდენობას, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი მმართველობების წარმომადგენლები არიან. მათ დიდი გამოცდილება აქვთ და დიდი მონდომებით არიან ჩართულნი ამ საქმეში" - აღნიშნა "გაერთიანებული ევროპა მოქალაქეებისათვის" პროგრამის ხელმძღვანელმა ბატონმა რისტო რაივიომ.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეკრებას კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი იან მიქალევიც ესწრებოდა, რომელმაც ALDA-სა და LDAs-სთან თანამშრომლობა გაიხსენა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პრეზიდენტმა ჯინ მარია ჰეიდმა აღნიშნა არასამთავრობო სექტორის როლი ევროპული მოქალაქეების თვითშეგნების ამაღლების საქმეში. მან მადლობა გადაუხადა ALDA-ს აქტიურობისათვის და დაგროვილი გამოცდილების სხვა ორგანიზაციებთან განაწილებისათვის. ALDA 2008 წელს გახდა საერთაშორისო კონფერენციის წევრი, და ასოციაციის დირექტორი, ქალბატონ ანტონელა ვალმოზიდა არის დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტის ხელმძღვანელი.

პადოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში, და ჟურნალისტმა ბატონმა ფრანჩესკო იორიმ ისაუბრა კომუნიკაციის სასიცოცხლო როლზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოქალაქეებთან, რომლებსაც სრული უფლება აქვთ იყვნენ ინფორმირებულნი დღევანდელი ევროპის გადაწყვეტილებების შესახებ. "ევროპას ჭირდება შუამავალი ორგანიზაციები, რომლებიც არც პოლიტიკური პარტიებია და არც სახელმწიფო დაწესებულებები და რომლებიც ხელს შეუწყობს დიალოგის გამართვას და ურთიერთკავშირში იქნება მოქალაქეებთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები" - განაცხადა ბატონმა იორიმ.

ALDA-ს გამოცდილებებზე ისაუბრა ALDA-ს დირექტორმა ქალბატონმა ანტონელა ვალმოზიდამ. "ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ დავინახეთ, რომ არსებობს უფრო მეტი ფული, ვიდრე კარგი და ეფექტური ხელშეწყობა დემოკრატიის განვითარებისა. არსებობს დიდი მოთხოვნა ადგილობრივი მმართველობის განვითარებისა და ამ პროცესში მოქალაქეების ჩართულობისა, მაგრამ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ვაკეთებთ დიდ ცვლილებებს. მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ მხოლოდ არ ვლაპარაკობთ დემოკრატიაზე, არამედ აქტიურად ვართ ჩართულნი მისი განხორციელების საქმეში..." მან ასევე ყურადღება გაამახვილა მოქალაქეების შესაძლებლობებზე, რომლებიც ხშირად გამოუყენებელი რჩება და სწორედ ALDA აძლევს მათ თვითგამოვლენის საშუალებას.